

ნინო ჯორბენაძე

ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონები

(ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა)

ყველა ცივილიზებული და მაღალი კულტურის მქონე ერში აუცილებლად დგება საკითხი ენობრივი ნორმალიზაციისა. ენობრივი „ნორმალიზაციის“ ვიწრო გამოვლენად შეიძლება მივიჩნიოთ ის შემთხვევები, როდესაც ამა თუ იმ დიალექტის წარმომადგენელი შეგნებულად უდგება თავის მეტყველებას, არ ჰგუობს სხვა კილოებიდან შემოტანილ მისთვის უცხო სიტყვაფორმებსა თუ სინტაქსურ კონსტრუქციებს და მკაცრად იცავს თავის დიალექტში გავრცელებული ვარიანტების (ოდესღაც თავისთავად ცვლილის) წარმოთქმის სიზუსტეს. „ქართულ დიალექტოლოგიაში“ (ჯორბენაძე 1989: 38) აღნიშნულია, რომ „ამა თუ იმ დიალექტზე (კილოკავზე, ქვევაზე) მეტყველი ზედმიწევნით გრძნობს დიალექტურ სხვაობებს და ცდილობს დაიცვას თავისი **დიალექტური ნორმა**“. ამავე ნაშრომში ამ მოვლენას **„დიალექტთა ურთიერთგამიჯვნის ტენდენცია“** ეწოდა (ჯორბენაძე 1989: 37).

უფრო ფართო (და ძირითადი, გავრცელებული) მნიშვნელობით ენობრივი ნორმა, ეს **ერთიანი სალიტერატურო ენის დადგენილი ფორმა, შესიტყვება თუ სინტაქსური კონსტრუქციაა**. სალიტერატურო ნორმის პოზიციიდან მცდარია ნებისმიერი დიალექტური ფორმა, რომელიც, თავის მხრივ, ამა თუ იმ დიალექტიდან ამოსვლით, ამ დიალექტისთვის ნორმაა.

ასე რომ, როგორც ვხედავთ, ფართო გაგებით ენობრივი ნორმა ფრიად ცვალებადი მოვლენაა, მაგრამ, როდესაც ზოგადად ნორმებზე მსჯელობენ, ბუნებრივია, იგულისხმება **ერთიანი, სალიტერატურო ენის ნორმები**, იმ ენისა, რომელიც, როგორც ზემოთ ნახსენებ ნაშრომში არის აღნიშნული:

1) საერთოა და სავალდებულო ყველასათვის, ვინც ამ ენაზე მეტყველებს;

- 2) იგი არის როგორც ზეპირი, ისე – სამწერლობო (განსხვავებით დიალექტებისაგან, რომლებიც მხოლოდ ზეპირი სახით არსებობენ);
- 3) სალიტერატურო ენა არის ნორმირებული (ჯორბენაძე 1989: 154). (აქ, ჩვენი მხრივ, დავძენდით, რომ, როგორც ზემოთ აღინიშნა, გარკვეული სახის ნორმები (თუმცა უფრო ადვილად ცვლადი) დიალექტებსაც ახასიათებთ, მაგრამ სალიტერატურო ენის ნორმალიზაცია სულ სხვა ხასიათისაა. ამ სახის ნორმები მეცნიერულად მუშავდება, დგინდება და საყოველთაო ხდება);
- 4) სალიტერატურო ენა არის ოფიციალური ურთიერთობების ენა. იგი გამოიყენება სახელმწიფო მმართველობაში, განათლებაში, ხელოვნებაში, მეცნიერებაში, რელიგიაში, ყოფაცხოვრებაში და ა. შ.

ნორმების დადგენის შემდეგ, ბუნებრივია, დგება საკითხი ლექსიკონის გამოცემისა, სადაც ამ ნორმებზე დამყარებული სწორი ფორმები იქნება მოცემული. როგორც წესი, ეს ამა თუ იმ ენის ორთოგრაფიული ლექსიკონებია, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აგების პრინციპების მხრივ ყველა ენაში ერთი და იგივე ვითარება არ გვაქვს. მაგალითად, **1971 წელს გამოცემული „რუსული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის“** შესავალში აღნიშნულია, რომ **„ის მხოლოდ ორთოგრაფიული ცნობარია და არა ლექსიკონი, რომელიც თანამედროვე სიტყვაწარმოების ნორმალიზაციას ახდენს** (რასაც ემსახურება განმარტებითი ლექსიკონი), ამიტომ მასში შესულია... ორთოგრაფიულ ნორმალიზაციას დასაქვემდებარებელი სიტყვები, კონკრეტულად: სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნიკური ტერმინები, ხალხური მეტყველების ნიმუშები და დიალექტური (ადგილობრივი) სიტყვები, ზოგიერთი მოძველებული სიტყვა და ა. შ.“ (რუსული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი 1971: 3-4).

როგორც ვხედავთ, რუსულ ორთოგრაფიულ ლექსიკონში შესულია ჯერ კიდევ დაუდგენელი ენობრივი ვარიანტები, რაც, ჩვენი აზრით, ზოგადად ორთოგრაფიული ლექსიკონის არსს ეწინააღმდეგება. არასწორად მიგვაჩნია ასევე, რომ ნორმალიზაციის საქმეს, ფაქტობრივად, განმარტებითი ლექსიკონი ემსახურება. ვფიქრობთ, აქ მკვეთრად არაა გამოიჯნული სხვადასხვა დარგის ლექსიკონთა აგების პრინციპები. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე

ვითარება ლექსიკონთა აგების რუსულში განსხვავდება ზემოაღნიშნული ძველი წესისგან. ისიც გასათვალისწინებელია, რომ რუსულში, ქართულისგან განსხვავებით, დიდი სხვაობაა წარმოთქმასა და დაწერილობას შორის, რის გამოც ორთოგრაფიული ლექსიკონების მთავარი აქცენტი სიტყვის სწორ დაწერილობაზე იყო გადატანილი.

სხვადასხვა დარგის ლექსიკონთა აგების პრინციპები სათანადოდ გამოიჯნულია და პრაქტიკაშიც იდეალურად არის გატარებული ქართულ ლექსიკოგრაფიაში.

„ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ შესულია არა მხოლოდ სალიტერატურო ენის ფორმები, არამედ – დიალექტებიც, ვინაიდან ის ერთიანი, მთლიანი ქართული ენის ლექსიკონია და არა მხოლოდ სალიტერატურო ენისა. მისი ძირითადი დანიშნულება იმ სიტყვების ასახვა და ჩვენებაა (ბუნებრივია, განმარტებითურთ), რაც საერთო ქართულ ენაში არსებობს; ამავდროულად, ის სიტყვაფორმების გარკვეულ კვალიფიკაციასაც ახდენს (**გავრცელების, ხმარების სიხშირის, გრამატიკული** და სხვა მახასიათებლების მხრივ).

რაც შეეხება **ორთოგრაფიულ ლექსიკონს**, ქართულში ის მტკიცედ ნორმირებული, სალიტერატურო ენის ლექსიკონია და, ბუნებრივია, მასში მხოლოდ სალიტერატურო ენისათვის დამახასიათებელი, სწორი ფორმებია შესული. ვრცელი ორთოგრაფიული ლექსიკონის შესავალში აღნიშნულია კიდევ, რომ: **„ამა თუ იმ ორთოგრაფიული ლექსიკონის დანიშნულებაა, აღნუსხოს და წარმოგვიდგინოს, თუ როგორაა მოგვარებული ამ ენაში ორთოგრაფიის, ანუ მართლწერის საკითხები“**... (ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი 1998: 5).

ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონების უფრო კონკრეტულად მიმოხილვისას გვერდს ვერ ავუვლით სულხან-საბა ორბელიანის სახელს, რომლის ღვაწლიც ქართული მეცნიერებისა და, ზოგადად, ქართული კულტურის მიმართ განუზომელია. სხვა მრავალ დამსახურებასთან ერთად, მან „საფუძველი ჩაუყარა ქართულ ლექსიკოგრაფიას და შექმნა განმარტებითი ლექსიკონი, რომელიც არ კარგავს თავის მნიშვნელობასა და ღირებულებას“ (ქართ. ლიტ. ისტორია 1966: 483-484).

ჩვენთვის მნიშვნელოვანია ერთი ფაქტი: როგორც თავად სულხან-საბა ორბელიანი აღნიშნავს, ქართველებს ლექსიკონი ადრეც ჰქონიათ და შემდეგ დაუკარგავთ, რასაც მოჰყვოლია ის, რომ „ენა ქართული თვისთა ნებაზედ გაურყვნიათ“ (სულხან-საბა ორბელიანი 1965: 31). ამკარაა, რომ „**ლექსიკონის ერთი უმთავრესი დანიშნულება, სულხან-საბას შეხედულებით, ენის დაცვა და წაუხდენლობა ყოფილა**“ (აბულაძე 1965: 7).

გასათვალისწინებელია ერთი გარემოებაც: საყოველთაოდაც ცნობილი, რომ განსამარტავი სიტყვისათვის სულხან-საბას ხშირად მიწერილი აქვს მისივე წარმომავლობა კომენტარით, რაც კიდევ ერთხელ ავტორის ბარბარიზმებთან ბრძოლასა და ენის სიწმინდისათვის ზრუნვაზე მეტყველებს. მაგალითად:

მანშური სხუათა ენაა – სიგელი ჰქვიან ქართულად.

ასე რომ, გარკვეულწილად შეგვიძლია, „სიტყვის კონას“ კიდევ ერთი განსაზღვრება – **ორთოგრაფიულიც** – მივუსადაგოთ (ალარაფერს ვამბობთ მის კავშირზე 1. **დიალექტოლოგიურ**, 2. **პარონიმთა** და 3. **სინონიმთა** ლექსიკონებთან. იხ. მაგ.: 1. **ჟარე**-ს განმარტება – „**იარე**“ (მესხ.); 2. **მჩხაზავისა და მჩხიზავის** პარონიმია და 3. ფორმა **ნავი**-ს განმარტებისას მოხმობილი სინონიმები – **ვარცილი, კარაპა, კარკაპა, ოჩხომელი, ოლეკკანდერი, კატარდა, ხომალდი...**).

საკუთრივ ორთოგრაფიული ლექსიკონების გამოცემის საქმეს კი ჩვენში სათავე, ფაქტობრივად, 1941 წელს დაედო, როდესაც **ვ. თოფურიასა და ივ. გიგინეიშვილის** ავტორობით „სასკოლო ორთოგრაფიული ლექსიკონი“ გამოიცა (შემდგომში ის კიდევ ორჯერ გამოვიდა – 1947 და 1949 წლებში). **პირველი ვრცელი ორთოგრაფიული ლექსიკონი** (ამავე პირთა ავტორობით) გამოქვეყნდა 1968 წელს, რომლის გამეორებული და შევსებული ვარიანტის გამოცემაც მხოლოდ 1998 წელს მოხერხდა. გარდა ამისა, შემდეგ წლებში დღის სინათლე იხილა რამდენიმე, ასევე ორთოგრაფიული ხასიათის ლექსიკონმაც. ესენია: „**ჟურნალისტის სტილისტიკური ცნობარი**“ (მისი სალექსიკონო ნაწილი), „**ჟურნალისტის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი**“ (I, II), „**ქართული ენის პარონიმთა ლექსიკონი**“ და სხვ.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ ვრცელ ორთოგრაფიულ ლექსიკონში შეტანილია იყო არა მხოლოდ წმინდა ორთოგრა-

ფიული, არამედ მორფოლოგიურ-სინტაქსური ხასიათის მაგალითებიც (**მაგ.: სხედს (ხალხი), სხედან ისინი, მაგრამ ზის ის (ვზივარ, ზიხარ...)**). მათი რაოდენობა შემდგომ გამოცემებში კიდევ უფრო გაიზარდა. მეტიც - ახალ ლექსიკონებში ახლად დამკვიდრებულ უცხოურ სიტყვებს რიგ შემთხვევებში თან ერთვის **განმარტებაც**; რამდენიმე ლექსიკონში გამოიყო **პარონიმებიც**; ხშირად ამა თუ იმ ფორმასთან **მცირე ახსნა-განმარტებაც** კია მოცემული მისი წარმოშობის, გავრცელების, ხმარებისა თუ შეცდომის მიზეზების შესახებ. ქვემოთ მათ უფრო ვრცლად შევხებით.

ორთოგრაფია, ვიწრო გაგებით, უფრო **ფონეტიკურ** საკითხებს მოიცავს, ფართო გაგებით კი - **მორფოლოგიურსაც**. სწორედ ეს „ფართო გაგებით“ ორთოგრაფიული საკითხებია შეტანილი ვრცელ ორთოგრაფიულ ლექსიკონში (1968 წლისა), რომელიც შემდგომ, როგორც 1998 წლის გამოცემის წინასიტყვაობაშია აღნიშნული, სტილისტიკური ხასიათის ინფორმაციითაც შეივსო (ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, 1998, 8). მაგალითად, ახალ გამოცემაში შევიდა ბევრი პარონიმი (**საცოლე – საცოლო, მევალე – მოვალე, ამჩნევს – აჩნევს**), გამიჯნულია ასევე **ნასადილევს, ნასადილები** და მსგავსი პარალელური ფორმებიც... ზემოაღნიშნული **სხედს (ხალხი), სხედან ისინი, მაგრამ ზის ის (ვზივარ, ზიხარ...)** მაგალითიც ამკარად სინტაქსური საკითხია... სინტაქსის სფეროა ასევე **დაბზუის ის, მაგრამ დაპბზუის ის მას** ტიპის სიტყვაფორმებიც...

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ორთოგრაფიულ ლექსიკონში ასეთი სინტაქსურ-სტილისტიკური საკითხების შეტანა თვით ქართული ენის ბუნებამ გამოიწვია... მეორე მხრივ, ქართულ დაწერილობასა და წარმოთქმას შორის არ არის ისეთი სხვაობა, როგორც სხვა ენებში გვაქვს. აქ არ დგას არც მახვილის პრობლემა. სამაგიეროდ, სირთულეებია სინტაქსისა და სტილისტიკის სფეროებში; და ფრიად ლოგიკურია, რომ ეს სირთულეებიც ასახულიყო ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში.

უფრო „შორს წავიდნენ“ **„ეურნალისტის სტილისტიკური ცნობარის“** შემდგენლები (ქსცი 2002). გამოცემის სალექსიკონო ნაწილში მოცემულია **ორთოგრაფიული, მორფოლოგიური, სინტაქსურ-სტილისტიკური**, აგრეთვე მრავალი სხვა საცნობარო ხასიათის ინფორმაცია (კერძოდ: გაეროში შემავალი სახელმწიფოების, მათი დედაქალაქების, სათანადო ქვეყნებში გავრცელებული ენებისა და სავალუ-

ტო ერთეულთა სახელწოდებები; აგრეთვე, საერთაშორისო ჟურნალისტიკაში ფართოდ გავრცელებული ლათინური წარმოშობის პოპულარული გამოთქმები და სხვა...); გარდა ამისა, გამოცემაში ბევრი სხვა სიახლეცაა, რაც იმითაა გამოწვეული, რომ ცნობარი ჟურნალისტებისთვისაა განკუთვნილი; მასში შესულია რაოდენობრივად შედარებით მცირე, მაგრამ ფართოდ ხმარებული სიტყვები თუ სიტყვათშეხამებები, რაც ლექსიკონში მთელი რიგი ცვლილებების შეტანის საშუალებას იძლევა. უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომი მაღალმეცნიერულ დონეზეა შესრულებული და ის ქართულ (და არა მართლ ქართულ) ლექსიკოგრაფიაში ახალ სიტყვად შეიძლება მივიჩნიოთ.

უფრო კონკრეტულად, რა ხასიათის სიახლეებია აღნიშნული ცნობარის სალექსიკონო ნაწილში:

1. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლექსიკონში მნიშვნელოვანწილად გაიზარდა **სინტაქსურ-სტილისტიკური** ხასიათის ინფორმაცია. საჭიროების შემთხვევაში ამ ტიპის სალექსიკონო ერთეულთან მოცემულია **კომენტარიც**; მაგალითად, ვრცლად არის მიმოხილული და განსაზღვრული სინონიმების – „**ადამიანი**“ / „**კაცი**“ – გამოყენების არეალი; მსგავსი წყვილები სხვაც არაერთია;
2. უცხოურ, განსაკუთრებით, ახლად შემოსულ სიტყვებთან, რომელთა მნიშვნელობაც ბუნდოვანია და რომელთა კონტექსტში გამოყენებაც ხშირად არასწორად ხდება, **მოცემულია განმარტებებიც**. მაგალითად, სწორ დაწერილობასთან ერთად, მოცემულია სიტყვა „**ნუფორიზისა**“ და სხვა მოგვიანებით შემოსული სიტყვების მნიშვნელობის განმარტებაც;
3. **განმარტებისა და კომენტარების** გარეშე არ დარჩენილა აგრეთვე მრავალი **ზიბლიური** თუ **მითოლოგიური სიტყვათშეხამება**, ისევე, როგორც **ლათინური სენტენციები**. მაგალითად, ლექსიკონში სათანადო განმარტებითაა შეტანილი „**ავგიას თავლა**“, „**აქილევსის ქუსლი**“ და მისთ. მოცემულია ინფორმაცია როგორც მათი წარმოშობის, ასევე დღევანდელი მნიშვნელობისა და გამოყენების შესახებაც;
4. ლექსიკონში მნიშვნელოვანი ნაწილი უჭირავს **პარონიმებს** შესაბამისი განმარტებებითა და კონტექსტების გათვალისწინ-

ნებით; მაგალითად, გამიჯნულია „კანფეტი“ – „კონფეტი“ და მსგავსი ფორმების ხმარების შემთხვევები;

5. ლექსიკონში გათვალისწინებულ იქნა რიცხვითი სახელების დაწერილობის სპეციფიკური შემთხვევებიც. კერძოდ, მითითებულია, რომ სხვადასხვანაირად იწერება, ერთი მხრივ, **ასოებითა** და, მეორე მხრივ, **ციფრებით** გამოხატული ერთი და იგივე ცნება. მაგ., **სამსართულიანი**, *მაგრამ: 3-სართულიანი*;
6. პირველად ქართულ ლექსიკოგრაფიულ პრაქტიკაში გაიმიჯნა აუცილებელი ორმაგი უარყოფა ცალმაგისაგან (**არასგზით**, **არავითარი** და მისთ. სიტყვების მონაწილეობის შემთხვევაში)...

შემდგომში, ნაწილობრივ ამ სიახლეთა გათვალისწინებით, 2009 წელს არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართული მეტყველების კულტურის განყოფილებამ საჭიროდ მიიჩნია შედარებით მცირე ფორმატის **„ჟურნალისტის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონის“** (ჟოსლი: I, 2009; II, 2010) შექმნა, რომელშიც **ორთოგრაფიული ლექსიკონის ვრცელ გამოცემებში** უკვე აღნუსხულ ყველაზე ხშირად ხმარებულ სიტყვებთან ერთად შეტანილ იქნა მოგვიანებით შემოსული ლექსიკაც.

2011 წელს განყოფილებამ მოამზადა ქართულ ლექსიკოგრაფიაში პირველი პარონიმთა ლექსიკონი (**„ქართული ენის პარონიმთა ლექსიკონი“**), იმავე წელს გამოსცა **„სასკოლო ორთოგრაფიული ლექსიკონი“**, 2012 წელს კი – **„მოსწავლის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი“**...

გარდა ჩამოთვლილი ბეჭდური გამოცემებისა, იყო ცდა ამავე ლექსიკონების ელექტრონული ვერსიების შექმნისა. კერძოდ, განყოფილების მიერ მომზადდა ვრცელი ორთოგრაფიული ლექსიკონის შემოკლებული ელექტრონული ვერსია, ხოლო 2009 წლიდან გამოსული ყველა ამ სახის ლექსიკონის ელექტრონული ვერსია იმთავითვე თავსდება ენათმეცნიერების ინსტიტუტის ვებგვერდზე...

ლიტერატურა

ჯორბენაძე 1989 – ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, 1, თბილისი.

ქართული ლიტერატურის ისტორია 1966 – ქართული ლიტერატურის ისტორია, მე-2 ტომი, თბილისი.

რუსული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი 1971 – Орфографический словарь русского языка, Москва.

სულხან-საბა ორბელიანი 1965 – სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, IV1, თბილისი.

აბულაძე 1965 – ილია აბულაძე, წინასიტყვაობა: სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, IV1, თბილისი.

ორთოგრ. 1998 – ვ. თოფურია, ივ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბილისი.

ქსცი 2002 – ჟურნალისტის სტილისტიკური ცნობარი, თბილისი.

ქოსლი 2009, 2010 – ჟურნალისტის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი, I, II, თბილისი.